ხუთწლედს — დამკვრელური შრომა, მთელი ჩვენი ენერგია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

24 იანვარი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 20 (15537)

ი შრომელთა ინიციატივის განვითარების, წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ძმედითი საშუალება მუდამ იყო და არის სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

საკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო კლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა IV სრულიად საკავშირო ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად მიესალმება სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა IV სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს, ყველა მეცნიერს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, ნოვატორ მუშებსა და წარმოების მოწინავეებს, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას, უნარს, შემოქმედებითს ენერგიას ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. თავიანთი საქმიანობით მათ აქტიურად შეუწყვეს ხელი ეკონომიკის ყველა დარგის აღმავლობას, წარმოების ტექნიკურ სრულყოფას.

ახლა ჩვენს ქვეყანაში წყდება ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — ორგანულად დავუკავშიროთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს. ამ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა როლი. მათ კიდევ უფრო მიზანსწრაფულად უნდა წარმართონ მეცნიერთა, სპეციალისტთა, მუშათა, სოფლის შრომელთა შრომა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი აღმავლობისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მოვალეობაა მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა მეცადინეობა მოახმარონ იმას, რომ ყოველნაირად დააჩქარონ სახალხო მეურნეობაში მეცნიერული კვლევის შედეგების, გამოგონებათა და აღმოჩენათა დანერგვა და გამოყენება, გააფართოონ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, კერძოდ, ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის ჩვენი სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენება, ადამიანის გარემოს დაცვა, სრულყონ საინჟინრო შრომა ორგანიზაცია უშუალოდ საწარმოებში, განამტკიცონ მეცნიერებისა და წარმოების შემოქმედებითი თანამეგობრობა.

საბჭოთა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, ნოვატორებმა და წარმოების მოწინავეებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი მასალებისა და ნაკეთობათა შექმნას, რომელთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები აღემატება თანამედროვე საბჭოთა და მსოფლიო მიღწევებს. საჭიროა ხელი შეეწყოთ შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, მოწინავე ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას, ხელის შრომის მანქანური შრომით ინტენსიური შეცვლისათვის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და პრაქტიკულ შესრულებას.

სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ წარმოების რეზერვების ძიებასა და ეფექტიან გამოყენებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური ხარჯვის, მანქანების, მოწყობილობის, კონსტრუქციების მასალატევადობის შემცირების საკითხთა გადაჭრაში, მეორეული ნედლეულის გადამუშავების ეფექტიანი მეთოდების ძიებაში, მასალების ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვაში.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მადალი დანიშნულებაა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკები აღზარდონ ახალი მიღწევებისადმი განუხრელი სწრაფვის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, უძრაობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყოველნაირად დაეხმარონ მხარი მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა მოძრაობას პირადი შემოქმედებითი გეგმების შემუშავებისათვის. საჭიროა კიდევ უფრო მეტი გაქანებით ვაწარმოებდეთ მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური ცოდნის, მოწინავე საწარმოო გამოცდილების პროპაგანდას, სისტემატიურად ვუწევდეთ დახმარებას მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა IV სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს უსურვებს დიდ წარმატებებს მუშაობაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლებენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გულითადი მილოცვები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კეკონენს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ბატონო პრეზიდენტო, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი გულითადი მილოცვა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე თქვენ რწმუნებულებათა ვადის გაგრძელების გამო.

საბჭოთა კავშირში დიდი პატივისცემის გრძნობით არიან გამსჭვალული თქვენდამი, გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწისადმი, ამდენი ძალღონე რომ მოახმარეთ იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა, რომელიც მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით ვითარდება, კვლავ განუხრელად მტკიცდებოდეს.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი ურთიერთობა კვლავაც წარმატებით გაფართოვდება ყველა დარგში ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში მიღწეული კარგი შედეგები საფუძველს გვაძლევს ამედი ვიქონეთო, რომ იგი კვლავაც იქნება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ცხოველუნარიანობის დამაჯერებელი მაგალითი.

ნება გვიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, გიხურავოთ ჯანმრთელობა და ახალი დიდი წარმატებანი ფინეთის სახელმწიფოს მეთაურის მაღალ პოსტზე საქმიანობაში, აგრეთვე კეთილდღეობა და უყვავება ვუსურვოთ მეგობარ ფინელ ხალხს“. (საკდესი).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

□ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ᲗᲘᲜᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. მან შარშან გეგმის ზევით მოკრიფა 8.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

□ ᲙᲐᲢᲘᲑᲣᲚᲘᲡ ქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის № 7 უბნის მნვრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ᲐᲚᲘᲫ ᲚᲐᲤᲔᲠᲐᲫᲔ. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, შარშან გეგმის გადამეტებით გამოიღო 11 ათასი ტონა ქვანახშირი.

□ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-კამვლოს კომბინატის ნოვატორი მქსოველი ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲞᲝᲡᲝᲨᲕᲘᲚᲘ. იგი ემახსოვრება ოთხ ახალ ხაქსოვ დაზგას, უოველდღიურად ნაცვლად 290 მეტრისა, ქსოვს 350 მეტრ ქსოვილს.

□ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელო ქარხნის ხარატი ᲗᲝᲗᲐ ᲯᲝᲮᲐᲫᲔ, რომელმაც გასული წლის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა, იგი ამჟამად 1974 წლის ანგარიშში მუშაობს. ᲤᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

თბილისელთა შრომითი გამოხმაურება

28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა 1972 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს და 1973 წლისათვის ახალ ვალდებულებათა მიღებას.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა Ა. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

პოსტუმენტს და განიხილეს ამხ. ა. გილაშვილის მოხსენება „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ამოცანები“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი **რ. ჯაფარიძე**, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელე, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ბოროდაკა**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე, „მთავართბილმშენის“ უფროსი **ბ. ზატაშვილი**, თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის „ისნის“ პარტკომის მდივანი **გ. კვაჭაძე**, „მთავართბილმშენის“ № 5 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ტ. ქართველიშვილი**, № 1 ავტოსატრანსპორტო სამგზავრო საწარმოს მძღოლი **ი. ხუციშვილი**, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. რედიუხინი**, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის მთავარი ინჟინერი **Ჯ. ᲙᲘᲠᲘᲜᲔᲚᲘᲫᲔ**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური შენებლობის სამმართველოს უფროსი **კ. მეგრელიშვილი**.

თბილისის შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, 1973 წლის ბოლომდე გეგმის ზევით მოახდინონ 26 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზება, გადაჭარბებით გაანაღდონ მოგების გეგმა;

სამრეწველო პროდუქციის მთელი მატება მიიღონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე;

განაგრძონ წარმოების ტემპების ზრდა და წელიწადის დამლევამდე გეგმის ზევით ამოშუშვან: ერთი სამაგისტალო რვადერძიანი ელმავალი „ვლ-10“, 15 ლოკომოტივი და სახვლი ჩარხი, ასობით ათასი მანეთის სატელეგრაფო აპარატები, 2 ათასი გაჯერა, 200 ათასი მანეთის საიზოლაციო მასალები, 6 ათასი მიკროძრავი, 50 ათასი მანეთის პლასტმასის ნაწარმი, 0,5 მილიონი ცალი ხილიკატური აგური, 200 ათასი მანეთის ავეჯი, 3.000 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა, 108 ათასი მეტრი ებრეშუმისა და შალის ქსოვილები, 800 ათასი მანეთის სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი, 30 ტონა აწონილი და შეფუთული ჩაი, 100 ათასი ბოთლი შამპანური, 1 ათასი დეკალტრი კონიაკი, 40 ათასი დეკალტრი ღვინო;

საგრძნობლად გააფართოონ სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება ძმიმე მრეწველობის საწარმოებში, გააუმჯობესონ მათი ხარისხი, ასორტიმენტი;

ათვისონ წარმოება და გამოუშვან სულ ცოტა 700 ახალი უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელის მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, ფართო მოხმარების ნაწარმი, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს და საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშებთ დონეს, მათ შორის ათვისონ:

სამი სახეობის ელექტრონულ-გამომთვლელი და მართული მანქანების, 12 მოდელის სპეციალური ლითონსახარეი ჩარხების, ერთი სახეობის ელექტრომეცადინეობელი და ორი სახეობის სატელეგრაფო აპარატების, სამი სახეობის მანქანებისა სოფლის მეურნეობისათვის, 8 სახეობის მანქანებისა კვების მრეწველობისათვის, 18 სახეობის ანალიზური ხელსაწყოების, „ეფი-186“ ელექტროშტამპელერების, მსუბუქი და კვების მრეწველობის ათობით სახეობის ნაწარმის, პლასტმასის, მბატერული კერამიკის ნაწარმისა და საყოფაცხოვრებო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სერიული გამოშვება.

დაარჩარონ საწარმოთა ტექნიკური ხელახლა შეიარაღების ტემპები, გააუმჯობესონ შრომისა და წარმოების მართვის ორგანიზაცია „მეცნიერულ საფუძველზე, ფართოდ დანერგონ წარმოებაში ორგანიზაციული და გამოთვლითი ტექნიკის, ინფორმაციისა და კავშირგამოყენების თანამედროვე საშუალებანი, შეუდგენენ მოსამზადებელ სამუშაოებს მართვის ავტომატური სისტემების გამოყენებისათვის;

განაგრძონ სამუშაოები წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციისათვის, აამაღლონ მოქმედ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ეფექტიანობა;

დააყენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ სამრეწველო საწარმოებში სულ ცოტა 160 კოხვეიერული ნაკადურ-მექანიზებული ხაზი, მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობის 470 ერთეული. მოახდინონ 450-ზე მეტი ჩარხისა და ავტომატის მოდერნიზაცია. დაუფლავად იბრძოლონ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის, გარეგანი გაფორმებისა და შეფუთვის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის;

ფართოდ გაშალონ შეჯიბრება უდეფექტო პროდუქციის გამოშვების, წუნისაგან გამოწვეული დანაკარგების მკვეთრი შემცირების, ქარხნის მარკის ღირსების განმტკიცებისათვის. იბრძოლონ ხარისხის წარჩინებულის წოდებისა და პირადი დამღი მუშაობის უფლების მოსაპოვებლად.

მოამზადონ და ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე ატესტაციისათვის წარადგინონ სულ ცოტა 30 სახეობის სამრეწველო პროდუქცია. საგრძნობლად გააფართოონ უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის წარმოება;

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥ თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი აღფრთოვანებით იხილავენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ეროვნულ-ეკონომიური ამოცანების, განხორციელებისათვის. 1972 წელს საქართველოს დედაქალაქის შრომითი კოლექტივების სამოქმედო პროგრამა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის დიადი იუბილეს წინადღეებში ქალაქის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამბდებოდა ახალი ინიციატიული თანასწორობანი და ინიციატივა, რომლებიც მიმართულია წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლებისაკენ, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ, 1972 წლისა და მე-9 ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისაკენ.

ქალაქში ფართოვდება ინდივიდუალური და ბრიგადული სოციალისტური შეჯიბრება დეკეხნი „ხუთი დღის დავალება — 4 დღეში“, ხორცელდება ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური გეგმები, ვითარდება კოლექტივების მოძრაობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის. გაძლიერდა ბრძოლა თბილისელთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურული ფონის ამაღლებისათვის.

ქალაქის მრეწველობამ ვადამდე — 21 დეკემბრისათვის გაანაღდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმეტეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა, სახელმწიფოს მიეცა 18 მილიონი მანეთის ზეგეგმათა პროდუქცია. პროდუქციის წარმოების მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე.

ყოველდღიურად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება. 1972 წელს სიექსპლოატაციოდ გადაეცა 60 პროცენტით მეტი საცხოვრებელი სახლი, ვიდრე 1971 წელს. მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, დიდი საკულტურო-განმანათლებლობის სამედიცინო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის.

ქალაქ თბილისის მშრომელებს კარგად ესმით, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებები დაძაბულ შრომასა და უდიდეს ენერგიის მოფიფოვას, რომ ეკონომიური განვითარების ტემპები დამოკიდებულია ამის ყოველდღიურ ძალღონეზე, ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე.

თბილისის შრომითი კოლექტივები დიდი აღფაფოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

თბილისელები პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ ამ დადგენილებას, მაგ კიდევ ადრეულ 1973 წელი ორნაშრომ თავდადებული დამკვრელური შრომით, გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებით. გულმოდგინე ვალდებულებანი მიბმა და კონკრეტულ ღონისძიებათა სიფუძველზე ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტის ორგანიზაციებში შემუშავებულია ვალდებულებები სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მუშაობის „კულტურის ამაღლებისათვის.

ქალაქის სახალხო მეურნეობის უველა დარგის მშრომელებმა. გულმოდგინედ აუოინ-დაწყეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და 1973 წლისათვის შემდეგი ვალდებულებები აიღეს:

— **წარმოების** ეფექტიანობის ამაღლების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცების, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებათა რეალიზაციის საფუძველზე ვადამდე — 25 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმეტეს მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა, წლის ბოლომდე გეგმის ზევით მოახდინონ 26 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზება, გადაჭარბებით გაანაღდონ მოგების გეგმა;

სამრეწველო პროდუქციის მთელი მატება მიიღონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე;

ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲜ წარმოების ტემპების ზრდა და წელიწადის დამლევამდე გეგმის ზევით ამოშუშვან: ერთი სამაგისტალო რვადერძიანი ელმავალი „ვლ-10“, 15 ლოკომოტივი და სახვლი ჩარხი, ასობით ათასი მანეთის სატელეგრაფო აპარატები, 2 ათასი გაჯერა, 200 ათასი მანეთის საიზოლაციო მასალები, 6 ათასი მიკროძრავი, 50 ათასი მანეთის პლასტმასის ნაწარმი, 0,5 მილიონი ცალი ხილიკატური აგური, 200 ათასი მანეთის ავეჯი, 3.000 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა, 108 ათასი მეტრი ებრეშუმისა და შალის ქსოვილები, 800 ათასი მანეთის სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი, 30 ტონა აწონილი და შეფუთული ჩაი, 100 ათასი ბოთლი შამპანური, 1 ათასი დეკალტრი კონიაკი, 40 ათასი დეკალტრი ღვინო;

საგრძნობლად გააფართოონ სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება ძმიმე მრეწველობის საწარმოებში, გააუმჯობესონ მათი ხარისხი, ასორტიმენტი;

ათვისონ წარმოება და გამოუშვან სულ ცოტა 700 ახალი უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელის მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, ფართო მოხმარების ნაწარმი, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს და საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშებთ დონეს, მათ შორის ათვისონ:

სამი სახეობის ელექტრონულ-გამომთვლელი და მართული მანქანების, 12 მოდელის სპეციალური ლითონსახარეი ჩარხების, ერთი სახეობის ელექტრომეცადინეობელი და ორი სახეობის სატელეგრაფო აპარატების, სამი სახეობის მანქანებისა სოფლის მეურნეობისათვის, 8 სახეობის მანქანებისა კვების მრეწველობისათვის, 18 სახეობის ანალიზური ხელსაწყოების, „ეფი-186“ ელექტროშტამპელერების, მსუბუქი და კვების მრეწველობის ათობით სახეობის ნაწარმის, პლასტმასის, მბატერული კერამიკის ნაწარმისა და საყოფაცხოვრებო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სერიული გამოშვება.

დაარჩარონ საწარმოთა ტექნიკური ხელახლა შეიარაღების ტემპები, გააუმჯობესონ შრომისა და წარმოების მართვის ორგანიზაცია „მეცნიერულ საფუძველზე, ფართოდ დანერგონ წარმოებაში ორგანიზაციული და გამოთვლითი ტექნიკის, ინფორმაციისა და კავშირგამოყენების თანამედროვე საშუალებანი, შეუდგენენ მოსამზადებელ სამუშაოებს მართვის ავტომატური სისტემების გამოყენებისათვის;

განაგრძონ სამუშაოები წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციისათვის, აამაღლონ მოქმედ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ეფექტიანობა;

დააყენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ სამრეწველო საწარმოებში სულ ცოტა 160 კოხვეიერული ნაკადურ-მექანიზებული ხაზი, მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობის 470 ერთეული. მოახდინონ 450-ზე მეტი ჩარხისა და ავტომატის მოდერნიზაცია. დაუფლავად იბრძოლონ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის, გარეგანი გაფორმებისა და შეფუთვის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის;

ფართოდ გაშალონ შეჯიბრება უდეფექტო პროდუქციის გამოშვების, წუნისაგან გამოწვეული დანაკარგების მკვეთრი შემცირების, ქარხნის მარკის ღირსების განმტკიცებისათვის. იბრძოლონ ხარისხის წარჩინებულის წოდებისა და პირადი დამღი მუშაობის უფლების მოსაპოვებლად.

მოამზადონ და ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე ატესტაციისათვის წარადგინონ სულ ცოტა 30 სახეობის სამრეწველო პროდუქცია. საგრძნობლად გააფართოონ უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის წარმოება;

(დასასრული მე-3 გვერდზე).



Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში Ჯ. ᲑᲐᲓᲠᲘᲣᲚᲘ და ესაუბრა მას. საუბარში მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

საწარმოს ხუთწლეული

რაზომ ჩამორჩა რუსთავის ქიმიური კომბინატი?

აი, როგორია მისი დაძლევის გზები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში — **„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“**, მოცემულია არამარტო თბილისის, არამედ საქართველოს მრეწველობის, მისი ცალკეული საწარმოების ჩამორჩენის მიზეზები და ამ ჩამორჩენის დაძლევის კონკრეტული გზები.

გაზეთი „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად გადაწყვიტა შეამოწმოს შესრულება ამ ისტორიული დადგენილებისა, ეკონომიური ანალიზი გაუკეთოს მოწინავე და ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობას.

ჩვენი გაზეთის 13 დეკემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი ქ. თბილისის ქარხანა **„ელექტროავტომატის“** შესახებ სათაურით — **„ავტომატები მცირდება ავტომატურად“**.

დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ წერილს რუსთავის ქიმიური კომბინატის შესახებ, რომელშიც ასახულია საწარმოს ჩამორჩენის მიზეზები და მისი დაძლევის გზები.

სურათზე: ამონიუმის სულფატის საამქროს მოწინავე ადამიანთა ერთი ჯგუფი. მარჯვნიდან მარცხნივ — მეაპარატე ე. ბაციკაძე, ცვლის უფროსი ნ. ყოროვინი, უფროსი მეაპარატე დ. გაბარაევი და ზეინკალი გ. ბერაძე.

1. მიზეზები: ობიექტური და სუბიექტური

რუსთავის ქიმიურ კომბინატს ხუთწლედის პირველი ორი სამეურნეო წელი 1,6 მილიონი მანეთის მოგებით უნდა დაესრულებინა, ფაქტიურად მიღებულმა ზარალმა ამ პერიოდში 15 მილიონ მანეთს გადააჭარბა. კომბინატმა უკანასკნელი წლების მანძილზე ვერ შესცალა ორიენტაცია, ვერ ვითარდებოდა პარტიის მიერ დასახული ხარისხობრივი გარდაქმნების გზით, ვერ მოახდინა ნამდვილი შემობრუნება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.

საწარმოს ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით მკვეთრად აჩინა თავი გასული წლის სახელმწიფო გეგმის შედეგებში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა აქ 89 პროცენტით შესრულდა. საერთო პროდუქციისა — 86 პროცენტით, დანახარჯები ერთ მანეთ ხასაქონლო პროდუქციაზე 18 კაპიკით გაიზარდა. ზრდას ნაყოფიერების ზრდის დავალება კი ამოლად 88 პროცენტით შესრულდა. კომბინატმა სამშობლოს დააკლო 197.763 ტონა აზოტოვანი სასუქები, 1.820 ტონა კაპროლაქამი, ათეულ ათასობით ტონა ამიაკი და ა. შ. (აქედან პირველ კვარტალზე მოდის მთელი ჩამორჩენის 70 პროცენტი).

გასულ წელს კომბინატმა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1971 წელთან შედარებით 1,8 პროცენტით შეამცირა. და ეს მაშინ, როცა უკანასკნელი წლების მანძილზე საწარმოს სიმძლავრე ერთთორად გაიზარდა.

მაშ რამ განაპირობა პროდუქციის გამოშვების ასეთი შემცირება?

შეიძლება ითქვას, რომ კომბინატი უკანასკნელი წლების მანძილზე ცალმხრივად ვითარდებოდა. აქ ტარდებოდა დიდი მასშტაბის კაპიტალური მშენებლობა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოები და უბნები, ხოლო მოქმედ საწარმოებსა და უბნებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ეს განსაკუთრებით ეხება ამიაკის პირველი და მეორე რიგის საწარმოებს (1972 წლის გეგმა მათ შესაბამისად 89 და 61 პროცენტით შეასრულეს), რომელთა არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელი კომბინატის საერთო ეფექტიანობაზე. კომბინატმა ვერ შეძლო ახალი ობიექტების მშენებლობების პარალელურად იწარმოებინა მოწყობილობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება.

კომბინატის მუშაობის „ბილანსის“ ასეთ დონემდე ვერ დაკომპლექტება კვალიფიციური მუშახელით, განსაკუთრებით კი სარემონტო პერსონალით. ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ რუსთავის ქიმიურ კომბინატს მართალია 1971-1972 წლებში აღმოუჩინა დახმარება (აზოტის საწარმოებიდან დროებით ერთდროულად მიამაგრა 250 სპეციალისტი), მაგრამ ამ ღონისძიებამ კომბინატის საერთო მდგომარეობას ვერ უშველა. ამიტომ საწარმოს 300 კაცი, ანუ დაგეგმილი მუშახელის დაახლოებით 8 პროცენტი აკლია.

კომბინატს სპეციალისტებით ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და პროფტექნიკური სასწავლებლები აკომპლექტებენ, თუმცა რა დაკომპლექტებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა 1970 წელს ინსტიტუტიდან 59 სპეციალისტის ნაცვლად კომბინატში გამოგზავნეს 5, 1971 წელს 72-ის ნაცვლად 40, გასულ წელს კი 56 ნაცვლად მხოლოდ 14. ასევე ითქმის პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიმართაც. ამ დიდნაწილი საკითხის მოგვარებაში კომბინატს ჭარბოდა დახმარება უნდა გაუწიონ შესაბამისმა ორგანოებმა.

მეორე მხრივ, რუსთავის ქიმიურ კომბინატში მოქმედებაშია ამიაკის პირველი რიგის მორალურად მოძველებული ტექნოლოგიური სქემა, რომელიც დაპროექტებულია 20 წლის წინათ. რეალურად, კვალიფიციური ძალების უმარილობის პირობებში ეს ობიექტები ვერ აძლევდნენ გეგმით გათვალისწინებულ ეფექტს. ზოგიერთი დანადგარი ითხოვს დიდი რაოდენობის მომსახურე პერსონალს, ხანგრძლივ და მუდმივ შეკეთებას.

გეგმის შეუსრულებლობის მიზეზთაგან, რომელიც უშუალოდ საწარმოზე არ იყო დამოკიდებული, კიდევ აღსანიშნავია: საქენერგოდან ელექტროენერგიის ხშირი გამორთვა, ძირითადი ნედლეულის არარიტმული მიწოდება. რაც შეეხება საწარმოო ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ორთქლის ნაკლებობას, ეს თვით კომბინატის საქმიანი მეორნეობისა (რომლის უფროსია ვ. ნატროშვილი) და ენერგეტიკის სამსახურის (მთავარი ენერგეტიკოსი ა. კობახიძე) ცუდი მუშაობის შედეგია.

საგრძნობი ზარალი მიაყენა კომბინატს მკაცრმა ზამთარმა და ელექტროენერგიის წვეტებმა. საწარმოს სამართლიანი პრეტენზიები აქვს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც აქვანურებენ მშენებლობის მართლაც ერთ-ერთ ძირითად ობიექტს — ამიაკის ორ ბლოკს. ეს ობიექტი 1971 წლის ბოლოს ექვსი თვით ადრე ამონიუმის სულფატის ბლოკი ამ ობიექტებზე ადრე ამუშავებენ. ამ ბლოკებზ

1973 წლის გეგმის ვალდებულებისათვის

ქალაქ თბილისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

(დასასრული)

ნაწარმის მასალატევადობის შემცირებისა და ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელების გზით 1973 წელს დაზოგონ ათდენი ნედლეული და მასალები, რაც აუცილებელია საწარმოთა მუშაობისათვის 1-2 დღის მანძილზე, მათ შორის დაზოგონ: 1.230 ტონა ფერადი და შავი ლითონები, 12 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 6 ათასი ტონა პირობითი საწვავი, 16 ათასი მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, 120 ათასი მანეთის პლასტმასის ნაწარმი და სხვა ნედლეული და მასალები;

რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებათა დანერგვით მიიღონ 4 მილიონ მანეთზე მეტი პირობითი წლიური ეკონომია.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღწიონ სულ მცირე 5 მილიონ მანეთი ეკონომიას;

გააძლიერონ საშეფო დახმარება სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი. საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებს ვადამდე მიაწოდონ სხვადასხვა ლითონდამამუშავებელი დანადგარები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობა და ინვენტარი; გეგმის ზევით გამოუშვან 25 უჯრედოვანი ბატარეა ტრაქტორებისთვის;

მშენებლობაში — სამშენებლო წარმოების სრულყოფის, კაპიტალდაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენების, სამშენებლო-სამონტაჟო საფუძვლათა ხარისხის გაუმჯობესებისა და ვითღირებულების შემცირების საფუძველზე საიჯარო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 1973 წლის 28 დეკემბრისათვის;

უზრუნველყონ ძალებისა და სახსრების კონცენტრაცია უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ობიექტებზე, მიაღწიონ საექსპლოატაციოდ მათს რიტმულ გადაცემას;

ყოველმხრივ გააუმჯობესონ შენობათა და ნაგებობათა ხარისხი საპროექტო გადაწყვეტათა გაუმჯობესების, ახალი პროგრესული მოსაპირკეთებელი და კონსტრუქციული მასალების დანერგვის საფუძველზე; უზრუნველყონ სამონტაჟო ობიექტების გადაცემა ძირითადად „ფრიადი" და „კარგი" შეფასებით. მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლებისა და შრომის მოწყობის შეთოდების დანერგვის, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის გზით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 7,5 პროცენტამდე გაამაღლონ.

1973 წელს აგაროს 540 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. მათ შორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბალანსი — 405 ათასი კვადრატული მეტრი. მიიღწიონ საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ ყოველ კვარტალში თანაბრად გადაცემის;

ვადამდე დაამთავრონ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მუხუტეი, ვეების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება;

უზრუნველყონ ყველასაგვის საექსპლოატაციოდ ვადამდე, 7 ნოემბრისათვის გადაცემა.

გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრონ სამი სასკოლო შენობის მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადასცენ საბავშვო ბაღები, 560 ადგილით;

თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის ოფიციალურად მომზადებისათვის 1973 წელს „სადგურის მოედან" — „დელიანის" ხაზზე გაიყვანონ 820 მეტრი სიგრძის გვირაბი. მშენებლობაში ფართოდ დანერგონ ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის მეთოდი ნ. ზლობინის მიხედვით;

ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა საშენ მასალათა ეკონომიური და ყაირათიანი გამოყენებისათვის, ტრანსპორტირების, მიღების, შენახვის გაუმჯობესებისა და რაციონალური ხარჯვის ხარჯზე ეკონომიას: ცემენტისა — 8 პროცენტით, ლითონისა — 1,7 პროცენტით და ხე-ტყისა — 14 პროცენტით;

ტრანსპორტზე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მიხედვით ვადამდე, 27 დეკემბრისათვის შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და წელიწადის დამლევამდე გეგმის ზევით დატვირთონ სულ ცოტა 100 ათასი ტონა სასოფლო-სამეურნეო ტვირთი;

გეგმასთან შედარებით 0,3 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და მიიღონ სულ მცირე 120 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

საავტო გადაზიდვების მხრივ — მგზავრთა მიმოქცევის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. გეგმის ზევით გადაიყვანონ 11 ათასამდე მგზავრი, გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მიიღონ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. საგრძნობლად აამაღლონ მგზავრთა მომსახურების კულტურა;

სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მხრივ — ვადამდე, 27 დეკემბრისათვის შეასრულონ გადაზიდვის წლიური გეგმა; გეგმის ზევით გადაზიდონ 350 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები და მიიღონ 40 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება;

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მიხედვით — წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე — 26 დეკემბრისათვის და გეგმის ზევით გადაიყვანონ 4 მილიონზე მეტი მგზავრი. უზრუნველყონ მგზავრთა მომსახურების მაღალი კულტურა;

მეტროპოლიტენის მხრივ — მგზავრთა გადაყვანის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 30 დეკემბრისათვის და გეგმის ზევით გადაიყვანონ 500 ათასი მგზავრი. 4 პროცენტით შეამცირონ გადაყვანის ფასიანობა, 22 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების დღესთან დაკავშირებით მეტროპოლიტენის მაგისტრალი ექსპლუატაციაში ჩააბონ;

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური ვალდებულებას კისრულობენ ფართოდ გაანაღონ შეიბრება წარმოების მაღალი, სანიმუშო კულტურისათვის, საამქროების ტექნიკურ-ორგანიზაციისა და სამუშაო ადგილების კეთილმოწყობისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა კადრების დენადობის შემცირებისათვის;

საამქროებსა, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უფრო აამაღლებენ ორგანიზატორული, იდეოლოგიური და მეთოდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეს, განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს და უზრუნველყოფენ სკკპ XXIV კონგრესის გადაწყვეტილებათა განუხრელ განხორციელებას.

თბილისის მშრომელები პირობას აძლევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე მიაღწევენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

განვაგრძობთ ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას ბოძმერებსუბლიკების დედაქალაქების — ბაკოს, რიგისა და ერევნის მშრომელებთან 1973 წელსაც და რწმენას გამოვთქვამთ, რომ იგი მომავლშიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას, მათს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

დანერგონ პროგრესული ფორმები და მეთოდები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 150 ობიექტზე, მათ შორის 100 ადგილისანი თვითმომსახურებაზე, რომ წელიწადის დამლევამდე თვითმომსახურების მეთოდით საყიდი საქონლის მოცულობა საერთო საქონელბრუნვის 30 პროცენტამდე აიყვანონ;

განახორციელონ რეკონსტრუქცია, კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 500 ობიექტზე და საყოფაცხოვრებო მომსახურების 130 ობიექტზე;

თბილისელ ბოსტანეულ-ბაღჩრობის: და თაფლეკეთილ ვაჭრობის ხაზით ქალაქის მოსახლეობას მიაყიდონ გეგმის ზევით 3 ათას ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები;

პირველ სექტემბრამდე მთლიანად მოამზადონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 1973 წლის მოსავლის ხილბოსტნეული პროდუქციის მისაღებად. ამ დროისათვის ვადამდე უზრუნველყონ სეზონების პირველი რიგის 16 ათასი ტონის მოცულობის ლილოში მშენებადი კომბინატის საექსპლოატაციოდ გადაცემა;

გააუმჯობესონ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია სამრეწველო საწარმოებში, ქალაქის მშენებლობებსა და სასწავლებლებში და ამ მიზნით ამ ობიექტებზე 3 ათასი დასაჯდომი ადგილით ადმოფხვრან განსხვავება საერთო საკავშირო ნორმისაგან;

საყოფაცხოვრებო მომსახურებაა ეოცულობის 1973 წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე, 29 დეკემბრისათვის;

გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება,

წელიწადის დამლევამდე დანერგონ მომსახურების 12 ახალი სახეობა და ფორმა, საექსპლოატაციოდ გადასცენ 14 ახალი ობიექტი.

— საძალამო მეურნეობის საწარმოებსა და საპასაჟიროებში — ვადამდე, 28 დეკემბრისათვის შეასრულონ 1973 წლის გეგმა საქალაქო მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით;

არსებული წყალმომწოდების ინტენსიფიკაციით 1973 წელს ქალაქისათვის სასმელი წყლის მიწოდება გააადიდონ წამში 600 ლიტრით, ჩამოიტანონ 0,25 პროცენტით შეამცირონ წყლის ეკონომიანი დანაკარგები;

ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ელექტრომეურნეობის ქსელის გაფართოებისა და ქალაქის განოვანათების წლიური გეგმა;

ქალაქის ელექტრომეურნეობის ტექნოლოგიური მეგზომარეობის, გაუმჯობესების გზით უზრუნველყონ მოწოდებული ელექტროენერგიის საიმედოობისა და სტაბილურობის დონის ამაღლება;

ბინის საშენაგანო გეგმის ზევით გადაიყვანონ 1 ათასი ბინა და 10 საათობი საქვაბე;

გაიყვანონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ გეგმის ზევით 4 კილომეტრი ქუჩის განსაზღვრა;

ყოველმხრივ გააუმჯობესონ სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები პროფილაქტიკური მომსახურების გაუმჯობესებისა და ავარიების გზით, მიაღწიონ დაზიანებათა რაოდენობისა და მათი გამოსწორების დროის 1972 წელთან შედარებით 15 პროცენტით შემცირებას;

ვადამდე, 15 დეკემბრისათვის შეასრულონ საგელეფონო-სადგურებისა და. სასაზო ნაგებობათა კაპიტალური შეკეთების წლიური გეგმა;

არსებულ საქალაქთა საპრომეტო ხიმლოგარის მაქსიმალური გამოყენების გზით 1973 წელს 32 ათასი კალორიით ვადიდონ თბოენერგიის მიწოდება მოსახლეობისათვის;

ქვანენილი დაადონ და მოამაგრონ 430 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ქუჩების სავალი ნაწილი და ტროტუარები;

გეგმის ზევით დარგონ 10 ათასი ხე და ბუჩქი, გააშენონ ათი ახალი სკვერი და დეკორატიული ბაღები;

საფოსტო კავშირის მომსახურებათა დაახლოებისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის გეგმის ზევით გასწიონ კავშირგაბმულობის 3 განყოფილება, მაქსიმალურად დანერგონ პრესისა და ჟურნალ-გაზეთების მეშვნიერებული მიწოდების ახალი მეთოდი;

სასწავლებლებმა, სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სპორტული ორგანიზაციებმა, ლიტერატურულ და ხელოვნების, გაზეთების რედაქციებმა, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა ვალდებულებას კისრულობენ ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისა და მოსწავლეთა ქცევის მაღალი კულტურისათვის, სასწავლებლებისა და საკრთო საცხოვრებლების შენობათა მოვლისა და შენახვის გაუმჯობესებისათვის, მათი ტერიტორიებისა და სპორტული მოედნების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების კეთილმოწყობისათვის; სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების გზით მიიღწიონ ქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების დაავადების შემცირებას. საგრძნობლად გაუმჯობესონ მოსახლეობის სტაციონარული და კლინიკური მომსახურება, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მკურნალობის ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები, გააძლიერონ კულტურულ-მასობრივი და სპორტული-გამაჯანსაღებელი მუშაობა, გაუმჯობესონ კულტურისა და დასვენების სახლებისა და პარკების, კლუბების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების, ბიბლიოთეკების, სანსხაობითი და სპორტული დაწესებულებების საქმიანობა, მათ მუშაობაში ჩაანაბან მშრომელთა ფართო მასები; მაღალ მხატვრულ და პროგრესულად დონეზე შექმნან ახალი ნაწარმოებები თანამედროვე და ისტორიული-რევოლუციური თემებზე, რომელნიც მართლად და რეალისტურად იქნება ასახული ჩვენი სამშობლოს, პარტიისა და ხალხის ცხოვრება, ფართოდ გაშალონ მეცხრე ხუთწლიდის ამოცანათა ჯადამი შესრულებისაკენ მიმართული პროპაგანდა.

თბილისელები კისრულობენ დაუღალავი, ყოველდღიური პრაქტიკა აუჩარონ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სანიმუშოს სახელმწიფოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევისათვის.

„კომუნისტის" სიგნალის ფეიდგან

მუქთახორეგს — სასტიკი გრძოლა

რედაქციას უპასუხებს რუსთავის საქალაქო სბჭო

რუსთავის საოლქეთო-ნეო ბაზარში არსებული უწესრიგობას ეხებოდა წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით: „მუქთახორეგს — სასტიკი ბრძოლა". ამასთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. წვერავა გვწერს:

„ბატონ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „მუქთახორეგს — სასტიკი ბრძოლა", რომელიც ამხილებდა რუსთავის საოლქეთო ბაზარზე მოკალთეობელ გადამყიდველებს, სპეკულანტებს, ქარაფშუტებს, ქახიულულ იერნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

საოლქეთო ბაზრის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ბაზრის დირექტორს შ. ქაჯაიას გამოეცხადა საყვედური. საქალაქო სბჭოს აღმასკომმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი წერილში მოყოლილი დარღვევების გამოსასწორებლად.

ნყალში ილბე და ნყალი გნყარლეს?

რედაქციას უპასუხებს რუსთავის საქალაქო სბჭო

რუსთავის საოლქეთო-ნეო ბაზარში არსებული უწესრიგობას ეხებოდა წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით: „მუქთახორეგს — სასტიკი ბრძოლა", რომელიც ამხილებდა რუსთავის საოლქეთო ბაზარზე მოკალთეობელ გადამყიდველებს, სპეკულანტებს, ქარაფშუტებს, ქორაკრებს, ვინ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

საოლქეთო ბაზრის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ბაზრის დირექტორს შ. ქაჯაიას გამოეცხადა საყვედური. საქალაქო სბჭოს აღმასკომმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი წერილში მოყოლილი დარღვევების გამოსასწორებლად.

ალექსანდრე ჯავახიშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი-გეოგრაფი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი. წავიდა ჩვენგან ხაუკუნეს მიღწეული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული საბჭოთა მეცნიერების აღმავლობის დიდსა და კეთილშობილურ საქმეს შეალია.

ალ. ჯავახიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მან ჩაუყარა საფუძველი გეოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებას საბჭოთა საქართველოში. მისი ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო - ორგანიზატორული მოღვაწეობა სამამულო მეცნიერების წინაშე თვალსაჩინო დამსახურების ნათელი მაგალითია.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ალ. ჯავახიშვილს საქართველოსა და ამიერკავკასიაში უმაღლესი გეოგრაფიული განათლების ჩასახვისა და მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაყენების საქმეში. ეგი ათეულ წლებზე მეტი ხნის მანძილზე გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიაში მან 200-ზე მეტი მეცნიერული შრომა შეასრულა და მკვლევარ-გეოგრაფთა მრავალრიცხოვანი კადრები აღზარდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი დაბადა 1875 წლის 5 აგვისტოს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში. 1895 წლიდან, თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, იგი მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების განყოფილების სტუდენტად. უნივერსიტეტში მისი სასწავლები იყვნენ დიდი რუსი მეცნიერები: კ. ტიმირიაზევი, ი. სეჩენოვი, ნ. ზელინსკი, ნ. უო

, დ. ანუჩინი და სხვ. სასწავლო კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1900 წელს ალ. ჯავახიშვილი დატოვეს უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაზე. აქედან მოყოლებული 1917 წლამდე ის ჩაბმული კვლევითს და სასწავლო მუშაობაში მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, ამავე პერიოდში ალ. ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში, აწყობს ექსპედიციებს, მონაწილეობს სამეცნიერო ყრილობებსა და კონფერენციებში, ამუშავებს სპეციბისმეტყველო მეცნიერებათა სწავლების მეთოდიკას.

მოწინავე იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა მკვლევარი ჯერ კიდევ მეცნიერული მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზევე ისწრაფვის თავისი ცოდნა და ნიჭი მშობლიურ საქართველოს კულტურის განვითარებას მოახმაროს. მან ფიქრი შემოიარა საქართველოს მრავალი კუთხე და მეტად ხაინტერესო მასალები შეაგროვა ქართულ, აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხების ეთნოლოგიაზე. ამ მასალების მეცნიერული დამუშავების შედეგად ალ. ჯავახიშვილი ქვეყნებს შრომებს საქართველოს და კავკასიის მოსახლეობის შესახებ. ეს გამოკვლევები სპეციალისტების მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამ პერიოდში ალ. ჯავახიშვილს რუსეთის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საზოგადოებამ ორჯერ მიაკუთვნა უმაღლესი ჯილდო (1906 და 1912 წლებში).

ალ. ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მონინავე რუს ბუნებისმეტყველებთან. მათთან მეცნიერულმა თანამშრომლობამ ბევრი რამ შეხანა ახალგაზრდა მკვლევარს. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა იგი როგორც ღრმად განსწავლული, პროგრესულ იდეებს დაუფლებული ბუნებისმეტყველი.

1917 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისში გადმოდის და ამ დროიდან დაწყებული მისი მოღვაწეობა საქართველოსა და ამიერკავკასიის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მიმდინარეობს.

1920 წელს მას ირჩევენ უნივერსიტეტის პროფესორად და გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ალ. ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტში სათავეში ედგა გეოგრაფიულ მეცნიერებათა სწავლების საქმეს და ეწეოდა მეტად ნაყოფიერ მრავალმხრივ მოღვაწეობას. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში შეიქმნა რამდენიმე გეოგრაფიული კაბინეტი, სამეცნიერო კაბინეტები, მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ერთერთ ასეთ კათედრას (გეომორფოლოგიისას) განსაკუთრებული ხელმძღვანელობდა სულ უკანასკნელ დრომდე.

ასევე აქტიურად მონაწილეობდა იგი საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიის კათედრების შექმნაში.

მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ალ. ჯავახიშვილი სისტემატურად ეწეოდა მრავალფეროვან კვლევითს მუშაობას გეოგრაფიულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში. ფართოდ არის ცნობილი მისი შრომები ზოგად და რეგიონალურ გეომორფოლოგიაში. საქართველოს გეომორფოლოგიურ შესწავლას მეცნიერმა მიუძღვნა მრავალი სტატია და მონოგრაფია.

დიდი შრომა გასწია ალ. ჯავახიშვილმა საქართველოში კარტოგრაფიის განვითარებისათვის. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შედგენილია საქართველოსა და ამიერკავკასიის რუკები და ატლასები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1964 წელს გამოცემული საქართველოს ატლასი, რომელიც სამეცნიერო რედაქტორია ალ. ჯავახიშვილი. ამ ატლასის შექმნისათვის მას 1970 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალ. ჯავახიშვილის დაწყული საქართველოში გეოგრაფიულ მეცნიერებათა კვლევითი დაწესებულებების შექმნაში. 1938 წელს ალ. ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტი. ამ პირველმა ქართულმა გეოგრაფიულმა სამეცნიერო დაწესებულებამ, რომლის მუშაობასაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ალ. ჯავახიშვილი, შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა ახალგაზრდა მეცნიერ-გეოგრაფთა ერთგული კადრები და მნიშვნელოვანი სამუშაოები შეესრულებინა ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების შესწავლის საქმეში.

მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო ალ. ჯავახიშვილი 1963 წლამდე, როდესაც მან ხანდაზმულობის გამო დატოვა ეს პოსტი.

წლების მანძილზე ინსტიტუტი გადაიქცა საბჭოთა კავშირის მთელი მხარეების გეოგრაფიული შესწავლის მოთავე სამეცნიერო დაწესებულებად, სადაც მრავალმხრივ ნაყოფიერ კვლევითს მუშაობას ეწეოდა ალ. ჯავახიშვილის მიერ აღზრდილ გეოგრაფთა არა ერთი თაობა.

მეცნიერი გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციას ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა ალ. ჯავახიშვილის ინიციატივით 1942 წ. შექმნილი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის უცვლელ პრეზიდენტად ეს თვალუსაჩინო უკანასკნელ წლებამდე, ხოლო 1970 წლიდან კი ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი იყო.

ალ. ჯავახიშვილის მოღვაწეობამ გეოგრაფიულ მეცნიერებათა ხეროში მაღალი შეფასება დიმიტრიაზა. 1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების მეორე ყრილობამ 1955 წელს მხცოვანი მეცნიერი ამ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინისა და ორი შრომის წითელი დროშის ორდენებით, რამდენიმე მედლით.

ალ. ჯავახიშვილი ეკუთვნოდა მეცნიერთა ამ რიცხვს, ვინც არ ეკმაყოფილება მიღწეულით და ყოველთვის მოისწრაფვის ახლისაკენ მეცნიერებაში. მოუხედავად ხანდაზმულობისა, იგი უკანასკნელ დრომდე არ ჩამოშორებია მეცნიერულ და სახსნელო მუშაობას საყვარელ უნივერსიტეტში.

მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ალ. ჯავახიშვილი ამყარებდა უდიდეს პრინციპულობას და მომთხოვნელობას თავისი თავისადმი, იყო დიდი მოკრძალე და პატრიოტი, თავმდაბალი და გულახსნილი, მშრომელი ამშრომელი და ერთგული მეგობარი. ასეთი დარჩება იგი მარად ხალხის ხსოვნაში.

ჯ. ბილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ბ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ე. შიგვარდნაძე, ა. ჩურკინი, ბ. ქოფენიძე, შ. ჭანუშვაძე, გ. ჯავახიშვილი, ო. ჩერეძნია, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ბ. ჯიბლაძე, ე. სეხნიაშვილი, დ. ჩხიკვიშვილი, ე. ხარაძე, ა. შანიძე, ბ. ახვლედიანი, ი. ბერიტაშვილი, ა. ჯანელიძე, ნ. კეცხოველი, თ. დავითაია, მ. საბაშვილი, ჯ. გამყრელიძე, ზ. ფორაქიშვილი, ხ. ჯორბენაძე, ნ. ქვანია, დ. ქიტიაშვილი, ბ. ჭილაშვილი, ნ. ნაბუყვია.

„კომუნისტის" ფოსტიდან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ა. ნ. ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაში კრთან: დ. ჩხიკვიშვილი (თავმჯდომარე), ბ. გამყრელიძე, თ. დავითაია, ნ. ნაბუყვია, ნ. ქვანია, მ. საბაშვილი, ზ. ფორაქიშვილი, დ. ქიტიაშვილი, ბ. ხარაძე.

ა. ნ. ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 იანვარს საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაში, კუკელიძის ქუჩა, № 1. 25 იანვარს, კუბრ ა. ნ. ჯავახიშვილის ცხედრად დასვენებულ იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჭავჭავაძის პროსპექტი, № 1. განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება 13 საათიდან და 30 წუთიდან. გაყოლა — დღის 3 საათზე, დაკრძალვა — ეკალეს სასაფლაოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური, განათლების სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 22 იანვარს, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ხალბოთა მეცნიერი და. საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხალბოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ხალბოთა გეოგრაფიის უფროსმდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი, პროფესორი

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი.

მეხილეთა სიტყვა

გორის რაიონის ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მეოთხე ბრიგადის სოციალისტური ვალდებულებანი

დიდი ინტერესით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორ ზრუნავს პარტია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მოუწოდებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მუშაკს ახალი მიღწევებისა და შრომითი გმირობისათვის.

ჩვენ ვებმებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ერთსულოვნად ვუპერთმხარს კრასნოდარის მხარის მიწათმოქმედთა საყურადღებო ინიციატივას, რომელებმაც მოგვიწოდეს 1973 წელი გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის წლად, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის გადამწყვეტ წლად.

ჩვენი ბრიგადა წლითიწლობით დიდი გადაჭარბებით ასრულებს ხილის წარმოებისა და დაქნადების გეგმებს. ბრიგადის წევრები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, კისრულობენ გადადებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ 63 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ სულ ცოტა 100 ცენტნერი ხილი გეგმით გათვალისწინებული 95 ცენტნერის ნაცვლად. ბრიგადა აწარმოებს და სახელმწიფოს მიაყიდის 634 ტონა ხილს — გეგმით გათვალისწინებულზე 95 ტონით მეტს.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაშალეთ დამკვრელური მუშაობა — ბორციელებთ ბაღების მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებათა, აგრეთვე ბრიგადის თვითეული წევრის პროფესიული ოსტატობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა სისტემას.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მასობრივია. გავახსოვს რა ეს, ხილის უხვი მოსავლისათვის შეჯიბრებაში ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს ვიწვევთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ყველა ბრიგადას.

დავდებით რა 1973 წლის უხვი მოსავლის მტკიცე საფუძველს შექმნის შრომითს ვახტზე, ალეუოქვამთ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტს, რომ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს, მთელ გამოცდილებასა და ცოდნას ამისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით

მუხიბურ რაჰმანის გამოსვლა

დაკა, 23 იანვარი. (საკლესი). „ბანგლადეში ადგას მოემხრობლობის პოლიტიკას. ჩვენ ვცდილობთ შეგობრობა დავამყაროთ ყველა ქვეყანასთან თანასწორობისა და სუვერენიტეტის საფუძველზე“, — განაცხადა ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაჰმანმა აქ გამართულ მასობრივ მიტინგზე.

ბანგლადეში მძიმე ბრძოლას ეწეოდა განთავისუფლებისათვის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. თქვა პრემიერ-მინისტრმა, ამასთან დაკავშირებით მან დიდი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას, რომელმაც დაიკავა „ჩვენი ბრძოლისადმი მხარდაჭერის მტკიცე პოზიცია, გაგვიწია უდიდესი დახმარება“,— ხაზგასმით აღნიშნა მუჯიბურ რაჰმანმა.

პრემიერ-მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ინდოეთთან ბანგლადეშის მეგობრულ ურთიერთობას. მან კმაყოფილებით აღნიშნა დიდი დახმარება, რომელიც ინდოეთმა გაუწია ბანგლადეშის ხალხს ბრძოლაში ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მალტის მტკიცე პოზიცია

ვალეტა, 23 იანვარი. ხაკლესის კორესპონდენტი ვ. მკრტჩიანი იუწყება:

ინგლისი კლავინდებურად უარს ამბობს დაკმაყოფილოს მალტის მოთხოვნა ინგლისის გირვანქა სტერლინგის კურსის დაცვასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

როგორც მალტის საინფორმაციო წრეებში აღნიშნავენ, მინტოფის მთავრობა აპირებს მტკიცედ მოსთხოვოს ლონდონს საიჯარო ქირა მალტის სამხედრო ნაგებობათა გამოყენებისათვის მტკიცე ეალუტით, აგრეთვე ის, რომ ინგლისმა შეასრულოს მომავალში ინგლის-მალტის შეთანხმების პირობები, რომელიც არ შელახავს მალტელი ხალხის ინტერესებს.

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება

პარიზი. 23 იანვარი. (საკლესი). პარიზში ორი დღის ვიზიტად ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ვილი ბრანდტი. იგი მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჟორჟ პომბიდუსთან, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ორი ქვეყნის მინისტრების თათბირში.

დაწყებული მოლაპარაკება მიმდინარეობს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის 1963 წელს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. მოლაპარაკების დღის წესრიგშია ბევრი საერთაშორისო პრობლემა, კერძოდ, „საერთო ბაზრის“ მომავალთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

ორი დღის შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა. ადგილობრივ მიმოსვლელთა აზრით იქნება ევროპის ეკონომიური გაერთიანება და ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი სავაჭრო მოლაპარაკების განხილვა.

ხსენებულ საკითხს ორი ქვეყნის მიდგომა ამ საკითხის გადაწყვეტისადმი. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხარს უჭერს სპეციალური კომისიის შექმნას ევროპის ეკონომიური გაერთიანებისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა შემადგენლობით, საფრანგეთი უარყოფითად ეკიდება „სპეციალური ინსტიტუტების დაარსების“ იდეას. ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს არა აქვთ ერთიანი პოზიცია არც საბაჟო ტარიფების საკითხში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხარს უჭერს ამერიკის მოთხოვნას ევროპისათვის განკუთვნილი ამერიკული საქონლის საბაჟო ტარიფების შემცირების შესახებ, ისე, რომ ამავე დროს შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნოს პრეფერენციონისტული ბაჟი ევროპულ საქონელზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეაქვთ.

გაზეთი „იუო“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის გეგმა მიზნად ისახავს საბაჟო ბარიერების ორმხრივ გაუქმებას.

როგორც ცნობილია, მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებში საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციები ეთანხმება ერთმანეთს. ამ საკითხებს განეკუთვნება. უწინარეს ყოვლისა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადება და მოწვევა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესება და განვითარება.

ომაანი

ომის ექო

სამამულო ომის დროს ხარკოვი გარეუბანში მცხოვრებნი იმის მოწმენი იყვნენ, თუ როგორ გაფთრებით ბომბავდნენ ფაშისტური თვითმფრინავები რკინიგზის კვანძს. და აი მოულოდნელად გამოირკვა, რომ ორასი კილოგრამიანი ფუგასური ბომბი ამოფეთქებულა. ოცდაათი წლის შემდეგ ეგი აღმოაჩინეს მშენებლებმა, რომლებსაც თხრილი გაეყვანდათ გაზმილებისათვის. სახიფათო „საცავი“ ნახევარმეტრიანი მიწის ფენა ფარავდა. გვერდით კი რამდენიმე მეტრის მოშორებით გადიოდა რკინიგზა, რომელზეც განუწყვეტლივ მოძრაობდნენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლები.

საგანგაშო სიგნალები მიიღეს ხალიურ ხარკოვ-დამასხარისხებლის სასაზო მილიციის განყოფილებაში. დაუყოვნებლივ შეწყვიტეს ყველა სამუშაო და სასწრაფოდ გამოიძახეს მეხანძრეები. მათ კი ოტატურად გაუვნეთლეს სასიკვდილო ნაპოვნი.

ავტომანქანა სასლის სახურავზე

მურმანსკში ხანაპირო ქუჩაზე მდებარე ხის სახლის მცხოვრებლებმა დიდი შიში ვიგრძენ, როცა თავიანთ სახლის სახურავზე დაინახეს... ავტომანქანა.

ამ შემთხვევას არაფერი ჰქონდა საერთო თავბრუდამხვევ კონტრიუკთან. საქმე უბრალოდ დაიწყო: ტრეტ „მურმანსკმორსტროის“ ავტობაზის მძღოლი ვ. კაიუკი ნახვამი მიუჯდა ზილ-ის ხაჭეს. ნიუნეროსტანსკის გზატკეცილზე მკვეთრ მოსახვევთან მძღოლმა ვეღარ დაიმორჩილა ხაზი და სწრაფად მიმჭროლავი მანქანა გადაეშვა ხუთი მეტრის სიმაღლის თითქმის ვერტიკალურ კლდეზე.

მძღოლის ბედად მანქანა სახურავის იმ ნაწილს დაეცა, სადაც შეშა იყო დაწყობილი, და ვ. კაიუკი მხოლოდ მუხუჭი განაკაწრებით გადარჩა, იუწყება გაზეთი „პოლიარნაია პრავდა“.

ავტომანქანა სასლის სახურავზე

მურმანსკში ხანაპირო ქუჩაზე მდებარე ხის სახლის მცხოვრებლებმა დიდი შიში ვიგრძენ, როცა თავიანთ სახლის სახურავზე დაინახეს... ავტომანქანა.

ამ შემთხვევას არაფერი ჰქონდა საერთო თავბრუდამხვევ კონტრიუკთან. საქმე უბრალოდ დაიწყო: ტრეტ „მურმანსკმორსტროის“ ავტობაზის მძღოლი ვ. კაიუკი ნახვამი მიუჯდა ზილ-ის ხაჭეს. ნიუნეროსტანსკის გზატკეცილზე მკვეთრ მოსახვევთან მძღოლმა ვეღარ დაიმორჩილა ხაზი და სწრაფად მიმჭროლავი მანქანა გადაეშვა ხუთი მეტრის სიმაღლის თითქმის ვერტიკალურ კლდეზე.

მძღოლის ბედად მანქანა სახურავის იმ ნაწილს დაეცა, სადაც შეშა იყო დაწყობილი, და ვ. კაიუკი მხოლოდ მუხუჭი განაკაწრებით გადარჩა, იუწყება გაზეთი „პოლიარნაია პრავდა“.

სიხარგის მსხვერპლი

ყინულქვეშა თევზერის მოტრფიალე პენსიონერი ტ. ბანდუკოვი დიდად გაოცდა, როცა ანკესი ამოსწია და ერთ ნემსკაკს ერობაშად ორი ქარიყლაპია ამოჰყვა. თურმე ვიდრე იგი ანკესზე წამოგებულ ხუთკილოგრამიან თევზს ეწეოდა, მას დახარბებია ხუთ კილოგრამზე მეტი წონის მეორე მტაცებელი. მსუნაგმა თევზმა არც მაშინ გაუშვა კბილები ნადავლს, როცა ტ. ბანდუკოვმა წყლიდან ამოათრია ორივეები.

ქ. ვოლსკი (სარატოვის ოლქი).

ომის ექო

სამამულო ომის დროს ხარკოვი გარეუბანში მცხოვრებნი იმის მოწმენ იყვნენ, თუ როგორ გაფთრებით ბომბავდნენ ფაშისტური თვითმფრინავები რკინიგზის კვანძს. და აი მოულოდნელად გამოირკვა, რომ ორასი კილოგრამიანი ფუგასური ბომბი ამ აფეთქებულა. ოცდაათი წლის შემდეგ ეგი აღმოაჩინეს მშენებლებმა, რომლებსაც თხრილი გაეყვანდათ გაზმილებისათვის. სახიფათო „საცავი“ ნახევარმეტრიანი მიწის ფენა ფარავდა. გვერდით კი რამდენიმე მეტრის მოშორებით გადიოდა რკინიგზა, რომელზეც განუწყვეტლივ მოძრაობდნენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლები.

საგანგაშო სიგნალები მიიღეს ხალიურ ხარკოვ-დამასხარისხებლის სასაზო მილიციის განყოფილებაში. დაუყოვნებლივ შეწყვიტეს ყველა სამუშაო და სასწრაფოდ გამოიძახეს მეხანძრეები. მათ კი ოტატურად გაუვნეთლეს სასიკვდილო ნაპოვნი.

ომაანი

ომის ექო

სამამულო ომის დროს ხარკოვი გარეუბანში მცხოვრებნი იმის მოწმენ იყვნენ, თუ როგორ გაფთრებით ბომბავდნენ ფაშისტური თვითმფრინავები რკინიგზის კვანძს. და აი მოულოდნელად გამოირკვა, რომ ორასი კილოგრამიანი ფუგასური ბომბი ამ აფეთქებულა. ოცდაათი წლის შემდეგ ეგი აღმოაჩინეს მშენებლებმა, რომლებსაც თხრილი გაეყვანდათ გაზმილებისათვის. სახიფათო „საცავი“ ნახევარმეტრიანი მიწის ფენა ფარავდა. გვერდით კი რამდენიმე მეტრის მოშორებით გადიოდა რკინიგზა, რომელზეც განუწყვეტლივ მოძრაობდნენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლები.

საგანგაშო სიგნალები მიიღეს ხალიურ ხარკოვ-დამასხარისხებლის სასაზო მილიციის განყოფილებაში. დაუყოვნებლივ შეწყვიტეს ყველა სამუშაო და სასწრაფოდ გამოიძახეს მეხანძრეები. მათ კი ოტატურად გაუვნეთლეს სასიკვდილო ნაპოვნი.

ქ. ვოლსკი (სარატოვის ოლქი).

ომის ექო

სამამულო ომის დროს ხარკოვი გარეუბანში მცხოვრებნი იმის მოწმენ იყვნენ, თუ როგორ გაფთრებით ბომბავდნენ ფაშისტური თვითმფრინავები რკინიგზის კვანძს. და აი მოულოდნელად გამოირკვა, რომ ორასი კილოგრამიანი ფუგასური ბომბი ამ აფეთქებულა. ოცდაათი წლის შემდეგ ეგი აღმოაჩინეს მშენებლებმა, რომლებსაც თხრილი გაეყვანდათ გაზმილებისათვის. სახიფათო „საცავი“ ნახევარმეტრიანი მიწის ფენა ფარავდა. გვერდით კი რამდენიმე მეტრის მოშორებით გადიოდა რკინიგზა, რომელზეც განუწყვეტლივ მოძრაობდნენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლები.

**საგანგაშო სიგნალები მიიღეს ხალიურ ხარკოვ-დამასხარისხებლის სასაზო მილიციის განყოფილებაში. დაუყოვნებლივ შეწყვიტეს ყველა სამუშაო და სასწრაფოდ გამოიძახეს მეხანძრეები. მათ კი ოტატურად გაუვნეთლეს სასიკვდილო ნაპოვნი.